

წინამდებარე დოკუმენტს გააჩნია მხოლოდ დოკუმენტური დანიშნულება და შესაბამისი უწყებები არ კისრულობენ რაიმე პასუხისმგებლობას მის შინაარსთან დაკავშირებით

► **B** ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 15 ივლისის
დირექტივა 2003/59/EC

ტვირთის გადაზიდვის ან მგზავრთა გადაყვანის მიზნით გარკვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების შესახებ, რომელიც ცვლის საბჭოს (EEC) №3820/85 რეგლამენტსა და საბჭოს 91/439/EEC დირექტივას და აუქმებს საბჭოს 76/914/EEC დირექტივას

(ოფიციალური ჟურნალი L 226, 10.9.2003, გვ.4)

ცვლილება შეტანილია:

ოფიციალური ჟურნალი

		№	გვერდი	თარიღი
► M1	ევროპის საბჭოს 2004 წლის 26 აპრილის დირექტივა 2004/66/EC	L168	35	1.5.2004
► M2	ევროპის საბჭოს 2006 წლის 20 ნოემბრის დირექტივა 2006/103/EC	L363	344	20.12.2006
► M3	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 22 ოქტომბრის (EC) №1137/2008 რეგლამენტი	L311	1	21.11.2008

▼B

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003 წლის 15 ივლისის
დირექტივა 2003/59/EC

ტვირთის გადაზიდვის ან მგზავრთა გადაყვანის მიზნით გარკვეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების შესახებ, რომელიც ცვლის საბჭოს (EEC) №3820/85 რეგლამენტსა და საბჭოს 91/439/EEC დირექტივას და აუქმებს საბჭოს 76/914/EEC დირექტივას

ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ,

ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ შეთანხმების, კერძოდ მისი 71-ე მუხლის პირველი პუნქტის (გ) და (დ) ქვეპუნქტების საფუძველზე,

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე,¹

ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრების საფუძველზე,²

რეგიონების კომიტეტებთან კონსულტაციის გავლის შემდგომ,

მოქმედებენ რა შეთანხმების 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად,³

ვინაიდან,

(1) (EEC) №3820/85 რეგლამენტის⁴ მე-5 მუხლის (1), (2) და (4) ქვეპუნქტების თანახმად, ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანაში ჩართული მძღოლების გარკვეული კატეგორია, მათი ასაკის, სატრანსპორტო საშუალების კატეგორიისა და ასევე იმ მანძილის მიხედვით, რომელზეც უნდა განხორციელდეს გადაზიდვა, უნდა ფლობდეს პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელ სერტიფიკატს ევროპული გაერთიანების წესების შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების მძღოლების გარკვეული კატეგორიისთვის აუცილებელი მინიმალური დონის მომზადებასთან

¹ ოფიციალური ჟურნალი C 154, 29.05.2001, გვ. 258 და ოფიციალური ჟურნალი C 20E, 28.1.2003, გვ. 263.

² ოფიციალური ჟურნალი C 260, 17.9.2001, გვ. 90.

³ ევროპარლამენტის 2002 წლის 17 იანვრის მოსაზრება (ოფიციალური ჟურნალი, C 271 E, 7.11.2002, გვ. 381), საბჭოს 2002 წლის 5 დეკემბრის ზოგადი პოზიცია (ოფიციალური ჟურნალი C 32 E, 11.2.2003, გვ. 9) და ევროპარლამენტის 2003 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება (ჯერ არ გამოქვეყნებულა ოფიციალურ ჟურნალში). საბჭოს 2003 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.

⁴ საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის (EEC) №3820/85 რეგლამენტი საგზაო გადაზიდვებთან დაკავშირებით გარკვეული სოციალური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შესახებ (ოფიციალური ჟურნალი C 370, 31.12.1985, გვ. 1).

დაკავშირებით. აღნიშნული მინიმალური დონეები განისაზღვრება 76/914/EEC დირექტივით.¹

- (2) იმ პირობით, რომ (EEC) №3820/85 რეგლამენტით გათვალისწინებული დებულებები ვრცელდება მძღოლების ძალიან მცირე პროცენტულ მაჩვენებელზე და მოცემული დროისთვის წევრი სახელმწიფოების მხოლოდ მცირე რაოდენობა ითხოვს მძღოლების სავალდებულო გადამზადებას, იმ მძღოლების რაოდენობა, რომლებიც ეწევიან გადაზიდვებს ევროპული გაერთიანების ტერიტორიის ფარგლებში, ასრულებენ მათ სამუშაოს მხოლოდ მართვის მოწმობის საფუძველზე.
- (3) იმ პირობების უზრუნველყოფის მიზნით, რათა საშუალებას მიეცეს მძღოლებს დააკმაყოფილონ ავტოსატრანსპორტო ბაზრის განვითარების დონესთან დაკავშირებით არსებული თანამედროვე მოთხოვნები, ევროპული გაერთიანების წესები უნდა გავრცელდეს ყოველ მძღოლზე, მიუხედავად იმისა წარმოადგენენ თუ არა ისინი კერძო გადამზიდავებს ან ღებულობენ ანაზღაურებას, გააჩნიათ თუ არა საკუთარი ანგარიში ან მუშაობენ თუ არა დაქირავებით ან ანაზღაურებით.
- (4) ევროპული გაერთიანების ახალი წესების დანერგვის მიზანია იმ ფაქტის უზრუნველყოფა, რომ მძღოლი მისი კვალიფიკაციით აკმაყოფილებდეს იმ სტანდარტებს, რაც საშუალებას მისცემს მას სისრულეში მოიყვანოს სატრანსპორტო საშუალების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობა.
- (5) უფრო კონკრეტულად, საწყისი კვალიფიკაციის ფლობისა და პერიოდული გადამზადების გავლის ვალდებულების მიზანია საგზაო უსაფრთხოებისა და მძღოლის უსაფრთხოების დონის გაზრდა, სატრანსპორტო საშუალების გაჩერებულ მდგომარეობაში ყოფნისას მძღოლის მიერ შესრულებული ოპერაციების უსაფრთხოების ჩათვლით. გარდა ამისა, მძღოლის პროფესიის თანამედროვე ხასიათი უნდა იწვევდეს დაინტერესებას ახალგაზრდებში აღნიშნული პროფესიის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს ახალი მძღოლების დაკომპლექტებას სამუშაო ძალის უკმარისობის შემთხვევაში.
- (6) უთანასწორო კონკურენციის ნებისმიერი შემთხვევის თავიდან არიდების მიზნით, წინამდებარე დირექტივა ვრცელდება როგორც წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების, ასევე მესამე ქვეყნების მოქალაქეების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე, რომლებიც სამსახურში აჰყავთ ან რომელთა მომსახურებასაც მიმართავენ წევრ სახელმწიფოებში დაფუძნებული საწარმოები.
- (7) იმ ფაქტის დასადგენად, ასრულებს თუ არა მძღოლი ნაკისრ ვალდებულებებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გასცენ მძღოლის მიმართ პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, შემდგომში წოდებული, როგორც „CPC“, რომელშიც მითითებული იქნება მძღოლის საწყისი კვალიფიკაციის ან პერიოდული მომზადების დონე.

¹ საბჭოს 1976 წლის 16 დეკემბრის 76/914/EEC დირექტივა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლების გარკვეული კატეგორიის მომზადების მინიმალური დონის შესახებ.

- (8) ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში არსებულ სისტემებს შორის სხვაობის გათვალისწინებით, წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ რამდენიმე ვარიანტიდან არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა საწყის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.
- (9) მძღოლის კვალიფიკაციის სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად, მოქმედი მძღოლი ვალდებულია გაიაროს პერიოდული გადამზადება მისი პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით.
- (10) საწყის კვალიფიკაციასა და პერიოდულ გადამზადებასთან დაკავშირებული მინიმალური აუცილებელი მოთხოვნები ითვალისწინებს უსაფრთხოების წესებს, რომლებიც უნდა დაიცვას მძღოლმა გზაზე მოძრაობისა და სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შემთხვევაში. ავტომობილის მართვისას დამცავი ღონისძიებების სისტემის დანერგვა - გზის სხვა მომხმარებლების საფრთხის შესახებ გაფრთხილების ჩათვლით - რასაც თან ახლავს საწვავის რაციონალური ხარჯვა, დადებითად აისახება როგორც საზოგადოებაზე, ასევე თავად ავტოსატრანსპორტო სექტორზე.
- (11) წინამდებარე დირექტივის საფუძველზე არავითარი ზიანი არ უნდა მიაღწეს იმ მძღოლის უფლებებს, რომელიც ფლობს ავტომობილის მართვისთვის აუცილებელ მართვის მოწმობას, ჯერ კიდევ პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღებისთვის გათვალისწინებულ თარიღამდე, რომელიც ადასტურებს, რომ მძღოლს გააჩნია შესაბამისი საწყისი კვალიფიკაცია ან გავლილი აქვს პერიოდული გადამზადება.
- (12) მხოლოდ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების მიერ დამტკიცებულ სასწავლო ცენტრებს შეუძლიათ საწყისი კვალიფიკაციის მისაღებად და პერიოდული გადამზადების გასაველელად აუცილებელი სასწავლო კურსების ორგანიზება. აღნიშნული დამტკიცებული ცენტრების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ ჰარმონიზებული კრიტერიუმები მათ დასამტკიცებლად, მყარი, უმაღლესი დონის პროფესიონალიზმთან დაკავშირებული კრიტერიუმების ჩათვლით.
- (13) არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები, არამედ აგრეთვე მათ მიერ დანიშნული ყოველი დაწესებულება პასუხს აგებს საწყის კვალიფიკაციასა და პერიოდულ გადამზადებასთან დაკავშირებული ტესტირების ორგანიზებაზე. წინამდებარე დირექტივის მნიშვნელობის გათვალისწინებით გზის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე სამართლიანი კონკურენციის პირობების უზრუნველყოფის მიზნით, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები გაუწევენ კონტროლს აღნიშნულ ტესტებს.
- (14) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომ პერიოდული გადამზადების პირველი ეტაპი უნდა დასრულდეს და გაიცეს შესაბამისი პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, საწყისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის გაცემიდან ან

იმ ვადის ამოწურვიდან, რომელიც განსაზღვრულია ზოგიერთი კატეგორიის მძღოლების მიმართ მოითხოვონ მათ მიმართ მინიჭებული უფლებები, ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადები აგრეთვე ექვემდებარება შემცირებას ან გახანგრძლივებას. პერიოდული გადამზადების პირველი კურსის შემდეგ, მძღოლმა უნდა გაიაროს შემდგომი პერიოდული გადამზადება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ.

- (15) იმ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ წევრი სახელმწიფოს მოქალაქე მძღოლი ფლობს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ ერთ-ერთ პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელ სერტიფიკატს, და სხვადასხვა პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ურთიერთალიარების მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიუთითონ აღნიშნული მიზნით წარმოდგენილი ევროპული გაერთიანების მიერ ჰარმონიზებული ინდექსი, შესაბამის მოქმედების ვადასთან ერთად, მართვის მოწმობაზე ან მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელ ახალ ბარათზე, რაც საჭიროებს ორმხრივ აღიარებას წევრი სახელმწიფოების მიერ, რომლის დამტკიცებული ნიმუშიც თან ერთვის წინამდებარე დირექტივას. აღნიშნული ნიმუში უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით მოქმედ იგივე მოთხოვნებს, რა მოთხოვნებიც განსაზღვრულია მართვის მოწმობასთან დაკავშირებით, იმ უფლებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომლის მინიჭებასაც იგი ახდენს საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და კონკურენციის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით. წევრი სახელმწიფოების მიმართ მინიჭებული შესაძლებლობა მიუთითონ ევროპული გაერთიანების ინდექსი ახალ ბარათზე მისცემს მათ მართვის მოწმობების მოქმედების ვადის განსაზღვრის შესაძლებლობას, რომლებიც არ ემთხვევა პერიოდული გადამზადების მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღს. აღნიშნულთან დაკავშირებით 91/439/EEC დირექტივა¹ ითვალისწინებს, რომ ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა ისარგებლოს უფლებით, განსაზღვროს ეროვნული კრიტერიუმების საფუძველზე მის მიერ გაცემული მართვის მოწმობების მოქმედების ვადა.
- (16) 91/439/EEC დირექტივის I და Ia დანართები ექვემდებარება შესწორებებს, რათა აღნიშნულ დანართებში გათვალისწინებულ ჰარმონიზებულ ინდექსებსა და სუბ-ინდექსებს დაემატოს იმ თარიღის შემცველი ევროპული გაერთიანების ინდექსი, რა თარიღამდეც მძღოლი ასრულებს პროფესიულ გამოცდილებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, იქნება ეს წარმოდგენილი საწყისი კვალიფიკაციისა თუ პერიოდული გადამზადების სახით.
- (17) წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ მძღოლებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს, განისაზღვრება სპეციალური სერტიფიცირების პირობები.

¹ საბჭოს 1991 წლის 29 ივლისის 91/8/1991 დირექტივა მართვის მოწმობების შესახებ (ოფიციალური ჟურნალი L 237, 24.8.1991, გვ. 1); დირექტივაში ბოლო ცვლილება განხორციელდა კომისიის 200/56/EC დირექტივით (ოფიციალური ჟურნალი L 237, 21.9.2000, გვ. 45).

- (18) კომისიამ უნდა უზრუნველყოს წინამდებარე დირექტივის სისრულეში მოყვანის მონიტორინგი, განსაკუთრებით სხვადასხვა საწყისი კვალიფიკაციის სისტემის გათვალისწინებით, რომელსაც იგი დაადგენს და უნდა წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში ევროპარლამენტს, ევროსაბჭოს, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომისიისა და რეგიონების კომიტეტებს.
- (19) იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე დირექტივის მოქმედება ვრცელდება მძღოლების მნიშვნელოვან რაოდენობაზე, საწყის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული დებულებები გამოყენებულ უნდა იქნას ორ ეტაპად იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება მგზავრების გადაყვანას ან ტვირთის გადაზიდვას. წინამდებარე დირექტივის ეტაპობრივი გამოყენება ტვირთის გადამტანი და მგზავრების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების საწყის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აგრეთვე ითვალისწინებს პერიოდული გადამზადების სისტემის ეტაპობრივი დანერგვის შესაძლებლობას.
- (20) წინამდებარე დირექტივის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ევროსაბჭოს 1999 წლის 28 ივნისის 1999/468/EC დირექტივის შესაბამისად, რომელშიც განსაზღვრულია კომისიის მიმართ მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენების პროცედურები¹.
- (21) საწყის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული დებულებების კანონიერ ძალაში შესვლის ორი სხვადასხვა თარიღის გამოყენების გასათვალისწინებლად, უნდა გაუქმდეს (EEC) №3820/85 რეგლამენტი, ასევე 76/914/EEC დირექტივა.
- (22) თუმცა ევროპული გაერთიანების საკანონმდებლო პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია, რომ იმ სატრანსპორტო საშუალების მძღოლები, რომლებიც იყენებენ სატრანსპორტო საშუალებებს სატრანსპორტო ოპერაციების სისრულეში მოსაყვანად იქ, სადაც მათი აზრით ნაკლებ მოქმედებას ახდენენ გზის უსაფრთხოებაზე ან სადაც მიმდინარე დირექტივის პირობებს შეუძლიათ წარმოშვან არათანაბარი ეკონომიკური ან სოციალური დატვირთვა, უნდა გამოირიცხონ წინამდებარე დირექტივის მოქმედების არეალიდან.
- (23) ვინაიდან წარმოდგენილი მოქმედების მიზანი, კერძოდ, ევროპული გაერთიანების ფარგლებში საერთო სტანდარტის განსაზღვრა საწყის კვალიფიკაციასა და პერიოდულ გადამზადებასთან დაკავშირებით, შეუძლებელია მიღწეულ იქნას წვერი სახელმწიფოების მიერ და, შესაბამისად, წარმოდგენილი ღონისძიების მასშტაბებისა და ეფექტების გათვალისწინებით, შესაძლებელია უფრო მარტივად იქნას მიღწეული ევროპული გაერთიანების დონეზე, ევროპულ გაერთიანებას შეუძლია მიმართოს სათანადო ზომებს შეთანხმების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიარობის პრინციპების შესაბამისად. აღნიშნულ მუხლში გათვალისწინებული პროპორციულობის პრინციპის თანახმად, წინამდებარე დირექტივა არ სცდება იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია მოცემული მიზნის სისრულეში მოსაყვანად.

¹ ოფიციალური ჟურნალი L 184, 17.7.1999, გვ. 23.

დაამტკიცეს წინამდებარე დირექტივა:

მუხლი 1

მოქმედების არეალი

წინამდებარე დირექტივა ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელსაც ასრულებენ:

- (ა) წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები, და
- (ბ) მესამე ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც დაქირავებულნი არიან ან რომელთა მომსახურებასაც მიმართავს წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული საწარმო.

შემდგომში წოდებულნი, როგორც 'მძღოლები', რომლებიც ჩართულნი არიან ავტოსატრანსპორტო საქმიანობაში ევროპული გაერთიანების ფარგლებში, საზოგადოებრივი სარგებლობის გზებზე და იყენებენ:

- სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებთან დაკავშირებითაც საჭიროა 91/439/EEC დირექტივით განსაზღვრული C1, C1+E, C ან C+E კატეგორიის მართვის მოწმობა ან ეკვივალენტურად აღიარებული მართვის მოწმობა;
- სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებთან დაკავშირებითაც საჭიროა 91/439/EEC დირექტივით განსაზღვრული D1, D1+E, D ან D+E კატეგორიის მართვის მოწმობა ან ეკვივალენტურად აღიარებული მართვის მოწმობა.

მუხლი 2

გამონაკლისები

წინამდებარე დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება იმ მძღოლებზე, რომლებიც მართავენ:

- (ა) 45 კმ/სთ მაქსიმალური ნებადართული სიჩქარის მქონე სატრანსპორტო საშუალებებს;
- (ბ) შეიარაღებული ძალების, სამოქალაქო თავდაცვის დანაყოფების, სახანძრო სამსახურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი სამსახურების მიერ გამოყენებულ ან მათ კონტროლს დაქვემდებარებულ სატრანსპორტო საშუალებებს;
- (გ) სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ტექნიკური განვითარების, შეკეთების ან ტენიკური უზრუნველყოფის მიზნებისთვის გადიან საგზაო შემოწმებას ან ახალ ან გადაკეთებულ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ჯერ არ არის გაშვებული ექსპლუატაციაში;

- (დ) საგანგებო სიტუაციებში ან სამაშველო ოპერაციებში გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებს;
- (ე) ნებისმიერი პირის, რომელსაც სურს მართვის მოწმობის ან პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღება, სწავლების დროს გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებს, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;
- (ვ) მგზავრების არაკომერციული გადაყვანის ან პირადი მოხმარების მიზნებისთვის ტვირთის არაკომერციული გადატანისას გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებს;
- (ზ) მძღოლის მიერ მის სამუშაოში გამოსაყენებლად საჭირო მასალისა თუ მოწყობილობის გადამტან სატრანსპორტო საშუალებებს იმ პირობით, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვა არ წარმოადგენს მძღოლის ძირითადი საქმიანობის საგანს.

მუხლი 3

კვალიფიკაცია და სწავლება

1. პირველი მუხლის თანახმად სატრანსპორტო საშუალებების მართვის საქმიანობასთან დაკავშირებით აუცილებელია სავალდებულო საწყისი განათლების და სავალდებულო პერიოდული გადამზადების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ:
 - (ა) საწყისი კვალიფიკაციის სისტემა

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გააკეთონ არჩევანი შემდეგ ორ ვარიანტს შორის:

 - (i) ვარიანტი, რომელიც აერთიანებს როგორც კურსებზე დასწრებას, ასევე ტესტირებას

I დანართის მე-2 მუხლის (2.1) პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ტიპის საწყისი კვალიფიკაცია ითვალისწინებს სავალდებულო კურსებზე დასწრებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კურსი უნდა დასრულდეს ტესტირებით. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, კვალიფიკაციის დადასტურება მოხდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე;
 - (ii) ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ტესტირებას

I დანართის მე-2 მუხლის (2.1) პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული ტიპის საწყისი კვალიფიკაცია ითვალისწინებს არა სავალდებულო კურსებზე დასწრებას, არამედ მხოლოდ თეორიულ და პრაქტიკულ ტესტებს. ტესტირების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, კვალიფიკაციის დადასტურება მოხდება მე-6 მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე.

თუმცა წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გასცენ ნებართვა მძღოლის მიმართ მართოს სატრანსპორტო საშუალება მისი ტერიტორიის ფარგლებში პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღებამდე იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი გაივლის ეროვნული პროფესიული გადამზადების კურსს მინიმუმ ექვსი თვის განმავლობაში, მაქსიმუმ სამ წლამდე. აღნიშნული პროფესიული გადამზადების კურსის ფარგლებში, (i) და (ii) პუნქტებით გათვალისწინებული ტესტები შესაძლებელია ჩატარდეს ეტაპობრივად.

(ბ) პერიოდული გადამზადების სისტემა

I დანართის მე-4 პუნქტის თანახმად, პერიოდული გადამზადება ითვალისწინებს კურსებზე სავალდებულო დასწრებას. აღნიშნული დამტკიცებულ უნდა იქნას პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატით, როგორც ეს მითითებულია მე-8 მუხლის პირველი პუნქტით.

2. წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ მოახდინონ საწყისი კვალიფიკაციის დაჩქარებული დაუფლების სისტემის ორგანიზება ისე, რომ მძღოლს შეეძლოს ავტომობილის მართვა 5(2)(ა)(ii) და (ბ) მუხლითა და 5(3)(ა)(i) და (ბ) მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

I დანართის მე-3 პუნქტის თანახმად, საწყისი კვალიფიკაციის დაჩქარებული დაუფლება ითვალისწინებს კურსზე სავალდებულო დასწრებას. კურსი უნდა დასრულდეს ტესტირებით. ტესტირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, კვალიფიკაციის დადასტურება მოხდება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაათავისუფლონ ის მძღოლები, რომელთაც მიღებული აქვთ 96/26/EC დირექტივით¹ გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, 1(ა)(i) და (ii) პუნქტებითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ტესტირების გავლის ვალდებულებისგან, აღნიშნულ დირექტივაში მითითებულ შესაბამისი ტესტით გათვალისწინებული საგნების სწავლისა, და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კურსის ნაწილზე დასწრებისგან.

მუხლი 4

ვალდებულებისგან გათავისუფლების უფლებები

¹ საბჭოს 1996 წლის 29 აპრილის 96/26/EC დირექტივა ტვირთის გადამზიდვის ოპერატორისა და მგზავრების გადამყვანი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის თანამდებობაზე დანიშვნისა და დიპლომების, სერტიფიკატებისა და ფორმალური კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულების მინიჭების შესახებ, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული ოპერატორების მიერ ეროვნული და საერთაშორისო სატრანსპორტო ოპერაციების სისრულეში მოყვანის თავისუფალი უფლებით სარგებლობისთვის (ოფიციალური ჟურნალი L 124, 23.5.1996, გვ. 1), დირექტივა, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელდა 98/76/EC დირექტივის თანახმად (ოფიციალური ჟურნალი L 277, 14.10.1998, გვ. 17).

ქვემოთ წარმოდგენილი მძღოლების კატეგორია შესაძლებელია გათავისუფლდეს საწყისი კვალიფიკაციის დაუფლებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისგან:

- (ა) მძღოლები, რომლებიც ფლობენ D1, D1+E, D ან D+E კატეგორიის მართვის მოწმობას ან ეკვივალენტურად აღიარებულ მართვის მოწმობას, გაცემულს წინამდებარე დირექტივის კანონიერ ძალაში შესვლისთვის განსაზღვრული საბოლოო თარიღიდან არაუგვიანეს ორი წლისა.
- (ბ) მძღოლები, რომლებიც ფლობენ C1, C1+E, C ან C+E კატეგორიის მართვის მოწმობას ან ეკვივალენტურად აღიარებულ მართვის მოწმობას, გაცემულს წინამდებარე დირექტივის კანონიერ ძალაში შესვლისთვის განსაზღვრული საბოლოო თარიღიდან არაუგვიანეს სამი წლისა.

მუხლი 5

საწყისი კვალიფიკაცია

1. საწყისი კვალიფიკაციის დაუფლებაზე დაშვება არ საჭიროებს წინასწარ შესაბამისი მართვის მოწმობის მიღებას.
2. ტვირთის გადასაზიდად გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს შეუძლიათ მართონ:
 - (ა) 18 წლის ასაკიდან:
 - (i) C და C+E კატეგორიის მართვის მოწმობაში შემავალი სატრანსპორტო საშუალება იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს გააჩნია პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად;
 - (ii) C1 და C1+E კატეგორიის მართვის მოწმობაში შემავალი სატრანსპორტო საშუალება იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს გააჩნია პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად;
 - (ბ) 21 წლის ასაკიდან, C და C+E კატეგორიის მართვის მოწმობაში შემავალი სატრანსპორტო საშუალება იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს გააჩნია პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.
3. მგზავრების გადასაყვანად გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს შეუძლიათ მართონ:
 - (ა) 21 წლის ასაკიდან:
 - (i) D და D+E კატეგორიის მართვის მოწმობაში შემავალი სატრანსპორტო საშუალება მგზავრების რეგულარულად გადასაყვანად, რა შემთხვევაშიც მარშრუტი არ აღემატება 50 კილომეტრს, და D1 და D1+E კატეგორიის მართვის

მოწმობაში შემავალი სატრანსპორტო საშუალება იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს გააჩნია პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად;

ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გასცეს ნებართვა სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მიმართ, მართონ ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ კატეგორიაში შემავალი სატრანსპორტო საშუალებები 18 წლის ასაკიდან იმ პირობით, თუ მძღოლს გააჩნია პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად;

- (ii) D და D+E კატეგორიის მართვის მოწმობაში შემავალი სატრანსპორტო საშუალება იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს გააჩნია პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად;

ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გასცეს ნებართვა სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მიმართ, მართონ ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ კატეგორიაში შემავალი სატრანსპორტო საშუალებები 20 წლის ასაკიდან იმ პირობით, თუ მძღოლს გააჩნია პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. მითითებული ასაკი შესაძლებელია შემცირდეს 18 წლის ასაკამდე, თუ მძღოლი მართავს იმ სატრანსპორტო საშუალებას, რომელზეც არ იმყოფებიან მგზავრები.

- (ბ) 23 წლის ასაკიდან, D და D+E კატეგორიის მართვის მოწმობაში შემავალი სატრანსპორტო საშუალება იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს გააჩნია პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

4. მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ასაკობრივი შეზღუდვისგან დამოუკიდებლად, მძღოლები, რომლებიც ეწევიან ტვირთის გადაზიდვას და ფლობენ მე-6 მუხლით განსაზღვრულ პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ კატეგორიასთან დაკავშირებით, თავისუფლდებიან შესაბამისი პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღების ვალდებულებისგან აღნიშნულ პუნქტში მითითებული ნებისმიერი სხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით.

იგივე დებულებები მსგავსი სახით გამოიყენება იმ მძღოლების მიმართ, რომლებიც ეწევიან მგზავრების გადაყვანას მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ კატეგორიებში.

5. მძღოლებს, რომლებიც ჩართულნი არიან ტვირთის გადაზიდვაში და ზრდიან ან ცვლიან მათი საქმიანობის ფარგლებს მგზავრების გადაყვანის შემთხვევაში, ან პირიქით, და რომლებიც ფლობენ პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელ სერტიფიკატს მე-6 მუხლის თანახმად, არ მოეთხოვებათ საწყისი კვალიფიკაციის საერთო დეტალების განმეორება, მათ მოუწევთ გაიარონ გადამზადება მხოლოდ ახალ კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ დეტალებში.

მუხლი 6

საწყისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი

1. საწყისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი

(ა) კურსზე დასწრებისა და ტესტირების ჩაბარების საფუძველზე გაცემული პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი

3(1)(ა)(i) მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოსთხოვონ სტაჟიორ მძღოლებს კომპეტენტური ორგანოების მიერ I დანართის მე-5 პუნქტის თანახმად დამტკიცებულ სასწავლო ცენტრში შესაბამისი კურსების გავლა, შემდგომში წოდებული, როგორც 'დამტკიცებული სასწავლო ცენტრი'. აღნიშნული კურსები უნდა იწავლებოდეს I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ყველა საგანი. სწავლება სრულდება I დანართის მე-2 მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ტესტირების წარმატებით ჩაბარებით. აღნიშნული ტესტირების ორგანიზებას ახდენენ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ან მათ მიერ დანიშნული ორგანიზაციები, და ტესტირების მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტის შემოწმება, ზემოაღნიშნულ საგნებში სტაჟიორი მძღოლის ცოდნის დონე შეესაბამება თუ არა I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული კომპეტენტური ორგანოები ან ორგანიზაციები გაუწევენ მეთვალყურეობას ტესტირებას და მისი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გასცემენ მძღოლებზე საწყისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატს.

(ბ) ტესტის ჩაბარების საფუძველზე გაცემული პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატი

3(1)(ა)(ii) მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოსთხოვონ სტაჟიორ მძღოლებს I დამატების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული ტესტების ჩაბარება. აღნიშნული ტესტის ორგანიზებას ახდენენ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ან მათ მიერ დანიშნული ორგანიზაციები, და ტესტირების მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტის შემოწმება, ზემოაღნიშნულ საგნებში სტაჟიორი მძღოლის ცოდნის დონე შეესაბამება თუ არა I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული კომპეტენტური ორგანოები ან ორგანიზაციები გაუწევენ მეთვალყურეობას ტესტს და მისი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გასცემენ მძღოლებზე საწყისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატს.

2. დაჩქარებული მომზადების კურსებზე მიღებული საწყისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოსთხოვონ სტაჟიორ მძღოლებს კომპეტენტური ორგანოების მიერ I დანართის პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებულ სასწავლო ცენტრში შესაბამის კურსებზე დასწრება. აღნიშნული კურსები უნდა მოიცავდეს I დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ყველა საგანს. აღნიშნული ტესტის ორგანიზებას ახდენენ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ან მათ მიერ დანიშნული ორგანიზაციები, და ტესტირების მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტის შემოწმება, ზემოაღნიშნულ საგნებში სტაჟიორი მძღოლის ცოდნის დონე შეესაბამება თუ არა I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ზემოაღნიშნული კომპეტენტური ორგანოები ან ორგანიზაციები გაუწევენ მეთვალყურეობას ტესტირებას და მისი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გასცემენ მძღოლების მიმართ დაჩქარებული გადამზადების კურსებზე მიღებული საწყისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატს.

მუხლი 7

პერიოდული გადამზადება

პერიოდული გადამზადების მიზანს წარმოადგენს მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის მფლობელი მძღოლებისა და მე-4 მუხლით გათვალისწინებული მძღოლების მიმართ მათი ცოდნის დონის ამაღლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი იქნება მათი საქმიანობისთვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საგზაო უსაფრთხოებასა და საწვავის რაციონალურ ხარჯვას.

აღნიშნული გადამზადების ორგანიზებას უზრუნველყოფს დამტკიცებული სასწავლო ცენტრი, I დანართის მე-5 პუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი გადავა სხვა საწარმოში, მას ჩაეთვლება უკვე გავლილი პერიოდული გადამზადების კურსი.

პერიოდული გადამზადება წარმოდგენილია I დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზოგიერთი საგნის გავრცობის და გადასინჯვის მიზნით.

მუხლი 8

პერიოდული გადამზადების გავლის დამადასტურებელი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატი

1. მძღოლის მიერ მე-7 მუხლით გათვალისწინებულ პერიოდული გადამზადების კურსის დასრულების შემდეგ, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ან დამტკიცებული სასწავლო ცენტრი გასცემს პერიოდული გადამზადების გავლის დამადასტურებელ პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატს.

2. შემდეგი კატეგორიის მძღოლებმა უნდა გაიარონ პერიოდული გადამზადების პირველი კურსი:
- (ა) მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის მფლობელები, აღნიშნული პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემიდან ხუთი წლის განმავლობაში;
 - (ბ) მე-4 მუხლით გათვალისწინებული მძღოლები, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული თარიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში, წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებით დადგენილი განრიგის თანახმად.
- წევრ სახელმწიფოებს, *სხვა უფლებამოსილებებთან ერთად*, შეუძლიათ შეამცირონ ან გაზარდონ (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პერიოდი, რათა აღნიშნული ვადა ემთხვეოდეს მართვის მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღს ან პერიოდული გადამზადების ეტაპობრივი დანერგვის მიზნით. თუმცა აღნიშნული ვადა არ უნდა იყოს სამ წელიწადზე ნაკლები და შვიდ წელიწადზე მეტი.
3. მძღოლმა, რომელიც პირველად დაასრულებს მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდული გადამზადების კურსს, უნდა გაიაროს პერიოდული გადამზადება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, სანამ არ ამოიწურება პერიოდული გადამზადების დამადასტურებელი პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის მოქმედების ვადა.
4. მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის ან წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის მფლობელებმა და მე-4 მუხლით გათვალისწინებულმა მძღოლებმა, რომელთაც შეწყვიტეს საქმიანობა აღნიშნული პროფესიით და რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უნდა გაიარონ პერიოდული გადამზადების კურსი, სანამ განაახლებენ საქმიანობას აღნიშნული პროფესიით.
5. ტვირთის გადაზიდვებში ან მგზავრების გადაყვანაში ჩართული მძღოლები, რომელთაც გავლილი აქვთ პერიოდული გადამზადების კურსები მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მართვის უფლების ერთ-ერთ კატეგორიაში, თავისუფლდებიან დამატებითი პერიოდული გადამზადების გავლის ვალდებულებისგან ზემოაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული ნებისმიერ სხვა კატეგორიაში.

მუხლი 9

სწავლების ადგილი

პირველი მუხლის (ა) პუნქტით გათვალისწინებული მძღოლები უნდა დაეუფლონ მე-5 მუხლში მითითებულ საწყის კვალიფიკაციას იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ისინი ცხოვრობენ, რაც განსაზღვრულია (EEC) №3821/85 რეგლამენტის მე-14 მუხლის თანახმად¹.

პირველი მუხლის (ბ) პუნქტით გათვალისწინებულმა მძღოლებმა უნდა გაიარონ მომზადება აღნიშნულ კვალიფიკაციაში იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც დაფუძნებულია საწარმო ან მათ მიმართ მუშაობის ნებართვის გამცემ წევრ სახელმწიფოში.

პირველი მუხლის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებულმა მძღოლებმა უნდა გაიარონ მე-7 მუხლით გათვალისწინებული პერიოდული გადამზადება იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ისინი ცხოვრობენ, ან იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ისინი ეწევიან საქმიანობას.

მუხლი 10

ევროპული გაერთიანების კოდი

1. მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატისა და მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენტურობის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მიუთითონ, მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითა და მე-8 მუხლით წარმოდგენილი დებულებების შესაბამისად, წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ევროპული გაერთიანების კოდი მძღოლის უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამის კატეგორიებზე:

- მართვის მოწმობაზე, ან
- მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელ ბარათზე, რომელიც შედგენილი იქნება II დანართით გათვალისწინებული ნიმუშის შესაბამისად.

წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემული მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათი უნდა წარმოადგენდეს ორმხრივად აღიარებულ დოკუმენტს. ბარათის გაცემის შემთხვევაში, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეამოწმოს მართვის მოწმობის მოქმედების ვადა, რომლის ნომერიც მითითებული იქნება ბარათზე.

2. ევროპული გაერთიანების შემდეგი კოდი უნდა დაემატოს 91/439/EEC დირექტივის I და Ia დანართებით გათვალისწინებული ევროპული გაერთიანების ერთიანი კოდების ნუსხას:

¹ საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის (EEC) №3821/85 რეგლამენტი საკონტროლო მოწყობილობის შესახებ საგზაო ტრანსპორტის სფეროში (ოფიციალური ჟურნალი L 370, 3.12.1985, გვ. 8); რეგლამენტში ბოლო ცვლილება განხორციელდა ევროკომისიის (EC) №1360/2002 რეგლამენტის თანახმად (ოფიციალური ჟურნალი L 207, 5.8.2002, გვ. 1)

95. პროფესიული კომპეტენტურობის სერტიფიკატის მფლობელი მძღოლი, რომელიც აკმაყოფილებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ პროფესიული კომპეტენტურობის ვალდებულებას მდე (მაგალითად, 95.01.01.2012)¹.

3. (ა) პირველი მუხლის (ბ) დანართით გათვალისწინებულმა მძღოლმა, რომელიც მართავს ტვირთის გადაზიდვებისთვის გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებს, უნდა დაამტკიცოს, რომ მას გააჩნია წინამდებარე დირექტივის შესაბამისი კვალიფიკაცია და გავლილი აქვს გადამზადება და წარმოადგინოს (EC) №484/2002 რეგლამენტი¹ გათვალისწინებული მძღოლის მოწმობა.

გარდა აღნიშნული სერტიფიკატისა, წევრ სახელმწიფოს შეუძლია გასცეს მასზე II დანართით გათვალისწინებული მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათი, რომელზეც მითითებული იქნება ევროპული გაერთიანების შესაბამისი კოდი.

(ბ) პირველი მუხლის (ბ) პუნქტით გათვალისწინებულმა მძღოლმა, რომელიც მართავს მგზავრთა გადაყვანისთვის გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებს, უნდა დაამტკიცოს, რომ მას გააჩნია წინამდებარე დირექტივით მოთხოვნილი კვალიფიკაცია და გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება და უნდა წარმოადგინოს:

- ევროპული გაერთიანების კოდი, რომელიც მითითებული უნდა იყოს ევროპული გაერთიანების მართვის მოწმობის ნიმუშზე, რომლის მფლობელსაც იგი წარმოადგენს; ან
- II დანართით გათვალისწინებული მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათი, აღნიშნული შესაბამისი ევროპული გაერთიანების კოდთან ერთად; ან
- ეროვნული სერტიფიკატი, რომლის მოქმედება მათ ტერიტორიაზე ორმხრივად იქნება აღიარებული წევრი სახელმწიფოების მიერ.

▼M3

მუხლი 11

სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებთან ადაპტაცია

სამეცნიერო და ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებთან I და II დანართების ადაპტირების მიზნით შემუშავებული წინამდებარე დირექტივის არაარსებითი მნიშვნელობის მქონე ელემენტებში ცვლილებების განსახორციელებლად, მიღებული უნდა იქნას მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მარეგულირებელი პროცედურები.

¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 1 მარტის (EC) №484/2002 რეგლამენტი, რომელიც ცვლის საბჭოს (EEC) №881/92 რეგლამენტსა და (EEC) №3118/93 რეგლამენტს მძღოლის ატესტაციის განსაზღვრის მიზნით (ოფიციალური ჟურნალი L 76, 19.3.2002, გვ. 1).

*მუხლი 12***კომიტეტის პროცედურები**

1. კომისიის დახმარების მიზნით იქმნება კომიტეტი.
2. წინამდებარე პუნქტის მითითების შემთხვევაში, მოქმედებს 1999/468/EC დირექტივის 5ა(1)-(4) და მე-7 მუხლები, მოცემული დოკუმენტის მე-8 მუხლის გათვალისწინებით.

▼B*მუხლი 13***ანგარიში**

2011 წლის 10 სექტემბრამდე, კომისიამ უნდა წარუდგინოს ევროპარლამენტს, ევროსაბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტსა და რეგიონების კომიტეტებს შესაბამისი ანგარიში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წინამდებარე დირექტივის განხორციელების თავდაპირველი შეფასება. ანგარიშში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული მე-3 დანართით გათვალისწინებული სხვადასხვა თავდაპირველი საკვალიფიკაციო სისტემის ეკვივალენტურობის შეფასება და კვალიფიკაციის სამიზნე ღონის მიღწევის ეფექტურობა. საჭიროების შემთხვევაში, ანგარიშს თან უნდა დაერთოს შესაბამისი წინადადებები.

*მუხლი 14***კანონიერ ძალაში შესვლა და სისრულეში მოყვანა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული ნორმების კანონიერ ძალაში შესვლა, წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების მიზნით, 2006 წლის 10 სექტემბრამდე. შემდგომ ამისა ისინი მიაწვდიან შესაბამის ინფორმაციას კომისიას.

წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, ისინი უნდა ითვალისწინებდეს მითითებას წინამდებარე დირექტივაზე ან თან უნდა ახლდეს აღნიშნული მითითება მათი ოფიციალური პუბლიკაციის შემთხვევაში. აღნიშნული მითითებების შესრულების ფორმას განსაზღვრავენ წევრი სახელმწიფოები.

2. წევრი სახელმწიფოები მიმართავენ ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს:
 - 2008 წლის 10 სექტემბრიდან, მართვის უფლების D1, D1+E, D და D+E კატეგორიებით სატრანსპორტო საშუალებების მართვისთვის აუცილებელ საწყის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით;
 - 2009 წლის 10 სექტემბრიდან, მართვის უფლების C1, C1+E, C და C+E კატეგორიებით სატრანსპორტო საშუალებების მართვისთვის აუცილებელ საწყის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით;

შემდგომ ამისა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია კომისიას აღნიშნული ღონისძიებების შესახებ და გაუწიონ დახმარება ერთმანეთს მოცემული ღონისძიებებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

მუხლი 15

გაუქმება

1. (EEC) №3820/85 რეგლამენტის მე-5 მუხლში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:
 - (ა) პირველი პუნქტი გაუქმდეს 2009 წლის 10 სექტემბრიდან;
 - (ბ) მე-2 და მე-4 პუნქტები გაუქმდეს 2009 წლის 10 სექტემბრიდან.
2. 76/914/EEC დირექტივა გაუქმდეს 2009 წლის 10 სექტემბრიდან.
3. 76/914/EEC დირექტივის დაცვის ფარგლებში მიღებული კანონები, წესები და ადმინისტრაციული ნორმები წვეტს მოქმედებას:
 - 2008 წლის 10 სექტემბრიდან, მგზავრების გადამყვან სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებთან დაკავშირებით;
 - 2009 წლის 10 სექტემბრიდან, ტვირთის გადამტან სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებთან დაკავშირებით.

მუხლი 13

კანონიერ ძალაში შესვლა

წინამდებარე დირექტივა კანონიერ ძალაში შედის *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* მისი გამოქვეყნების დღიდან.

მუხლი 14

ადრესატები

დირექტივა ძალაშია წევრი სახელმწიფოების მიმართ.

▼B

*დანართი I***მინიმალურ კვალიფიკაციასა და გადამზადებასთან დაკავშირებული მოთხოვნები****ნაწილი 1: საგნების ჩამონათვალი**

ცოდნა, რომელიც მხედველობაში უნდა მიიღონ წევრმა სახელმწიფოებმა მძღოლის საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების დონის განსაზღვრისას, უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ წინამდებარე ჩამონათვალში წარმოდგენილ საგნებს. სტაჟიორი მძღოლების ცოდნისა და პრაქტიკული კომპეტენციის დონე უნდა აღწევდეს იმ მაჩვენებელს, რაც აუცილებელია მათი მართვის უფლების კატეგორიის შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოდ მართვისთვის.

ცოდნის მინიმალური დონე არ უნდა იყოს 85/368/EEC¹ გადაწყვეტილების I დანართით გათვალისწინებული გადამზადების სისტემის მე-2 დონეზე ნაკლები, ანუ ზოგადი სავალდებულო განათლების ფარგლებში მიღწეულ დონეზე ნაკლები, რასაც თან უნდა ახლდეს პროფესიული გადამზადება.

1. *უსაფრთხოების წესების დაცვით ავტომობილის რაციონალური მართვის გაუმჯობესებული სწავლების სისტემა*

მართვის მოწმობების ყველა კატეგორია

- 1.1. მიზანი: ტრანსმისიის სისტემის მახასიათებლების ცოდნა მათი მაქსიმალურად გამოყენების მიზნით:

მაბრუნ მომენტთან, სიმძლავრესა და ძრავის საგანგებო მოხმარებასთან, ტაქომეტრის ოპტიმალური მაჩვენებლების დიაპაზონთან, გადაცემათა კოლოფის სქემებთან დაკავშირებული მახასიათებლები.

- 1.2. მიზანი: უსაფრთხოების მართვის სისტემის ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის ცოდნა სატრანსპორტო საშუალების კონტროლის, ცვეთის მინიმუმამდე შემცირებისა და მწყობრიდან გამოსვლის პრევენციის მიზნით:

ჰიდრავლიკური ვაკუუმური სერვომუხრუჭის წრედის კონკრეტული მახასიათებლები, მუხრუჭებისა და მუხრუჭი-შემნელებლის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, სიჩქარისა და გადაცემის თანაფარდობის უკეთ გამოყენება, სატრანსპორტო საშუალებების ინერციის გამოყენება, სიჩქარის შენელების მეთოდებისა და მუხრუჭების გამოყენება დადმართში სვლისას, შესაბამისი ზომების მიღება მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

- 1.3. მიზანი: საწვავის ხარჯვის ოპტიმიზაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა:

¹ საბჭოს 1985 წლის 16 ივლისის 85/368/EEC გადაწყვეტილება ევროპულ გაერთიანებაში შემავალ წევრ სახელმწიფოებს შორის პროფესიული სწავლების კვალიფიკაციის შესაბამისობის შესახებ (ოფიციალური ჟურნალი, L 199, 31.7.1985, გვ. 56).

საწვავის ხარჯვის ოპტიმიზაცია 1.1 და 1.2 პუნქტებში მითითებული ნოუ-ჰაუს გამოყენებით.

C, C+E, C1, C1+E კატეგორიის მართვის მოწმობები

- 1.4. მიზანი: სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის შესაძლებლობა უსაფრთხოების დაცვის წესებისა და სატრანსპორტო საშუალების სათანადოდ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით:

სვლის პროცესში სატრანსპორტო საშუალებაზე მოქმედი ძალები, გადაცემათა კოლოფის სხვადასხვა კოეფიციენტის გამოყენება სატრანსპორტო საშუალების დატვირთვისა და გზის საფარის პროფილის შესაბამისად, დადებითი დატვირთვის გამოთვლა სატრანსპორტო საშუალებაზე ან მოწყობილობაზე, სრული მოცულობის, ტვირთის განაწილების, ღერძის ზედმეტად დატვირთვის შედეგების, სატრანსპორტო საშუალების სტაბილურობისა და სიმძიმის ცენტრის, შეფუთვის ტიპებისა და სადებების განსაზღვრა;

ტვირთის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც საჭიროებენ გამაგრების, მოჭერისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სპეციალურ საშუალებებს, ზონების საიმედოობა, უსაფრთხოების მოწყობილობების შემოწმება, მართვის მოწყობილობების გამოყენება, ბრეზენტით გადაფარვა და მოხსნა;

D, D+E, D1, D1+E კატეგორიის მართვის მოწმობები

- 1.5. მიზანი: მგზავრების კომფორტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა:

გრძივი და განივი გადაადგილების დარეგულირება, ურთიერთქმედება საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილეებთან, გზაზე მოძრაობის ზოლების არჩევა, მსუბუქად დამუხრუჭება, მოძრაობა შემხვედრი ტრანსპორტის შემთხვევაში, სპეციალური ინფრასტრუქტურის (საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების, გამოყოფილი ზოლების) გამოყენება, მძღოლის უსაფრთხოდ მოძრაობასა და სხვა როლებს შორის არსებული პრობლემების გადაწყვეტა, მგზავრებთან ურთიერთობა, მგზავრთა განსაკუთრებული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ბავშვები).

- 1.6. მიზანი: სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის შესაძლებლობა უსაფრთხოების წესებისა და სატრანსპორტო საშუალების სათანადოდ გამოყენებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით:

სვლის პროცესში სატრანსპორტო საშუალებაზე მოქმედი ძალები, გადაცემათა კოლოფის სხვადასხვა კოეფიციენტის გამოყენება სატრანსპორტო საშუალების დატვირთვისა და გზის საფარის პროფილის შესაბამისად, დადებითი დატვირთვის გამოთვლა სატრანსპორტო საშუალებაზე ან მოწყობილობაზე, ტვირთის განაწილების, ღერძის ზედმეტად დატვირთვის შედეგების, სატრანსპორტო საშუალების სტაბილურობისა და სიმძიმის ცენტრის განსაზღვრა.

2. *წესების მოქმედების არეალი*

ყველა კატეგორიის მართვის უფლება

2.1. დავალება: ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სოციალური გარემოსა და მისი მართვის წესების ცოდნა:

სამუშაო დროის ხანგრძლივობა სატრანსპორტო სფეროში; (EEC) №3820/85 და (EEC) №3821/85 რეგლამენტების გამოყენების პრინციპები, წესი და შედეგები; ჯარიმები ტაქოგრაფის გამოუყენებლობისთვის ან არასწორად გამოყენებისთვის ან მის გამოყენებასთან დაკავშირებული თაღლითური ქმედებებისთვის; ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სოციალური გარემოს ცოდნა: მძღოლების უფლება-მოვალეობები საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების საკითხებთან დაკავშირებით.

C, C+E, C1, C1+E კატეგორიის მართვის მოწმობები

2.2 დავალება: ტვირთების გადაზიდვის მარეგულირებელი წესების ცოდნა:

ლიცენზიები სატრანსპორტო ოპერაციების განსახორციელებლად, მოვალეობები ტვირთების გადაზიდვის შესახებ გაფორმებული სტანდარტული ხელშეკრულებების მიხედვით, დოკუმენტების შედგენა, რომლებიც წარმოადგენს სატრანსპორტო ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნებართვები, მოვალეობები ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ კონვენციის შესაბამისად, საერთაშორისო სატრანსპორტო ზედდებულების შედგენა, საზღვრების გადაკვეთა, ტვირთების ექსპედიტორები, ტვირთის თანმხლები სპეციალური დოკუმენტები.

D, D+E, D1, D1+E კატეგორიის მართვის მოწმობები

2.3 დავალება: მგზავრების გადაყვანის მარეგულირებელი წესების ცოდნა:

სხვადასხვა ჯგუფის მგზავრების გადაყვანა, უსაფრთხოების საშუალებები ავტობუსებში, უსაფრთხოების ღვედები, სატრანსპორტო საშუალების დატვირთვა.

3. *ჯანმრთელობის, საგზაო მოძრაობისა და გარემოს უსაფრთხოება, მომსახურება და ლოგისტიკა*

მართვის მოწმობის ყველა კატეგორია

3.1 მიზანი: მძღოლის ინფორმირება საავტომობილო გზაზე არსებული შესაძლო რისკებისა და ავარიების შესახებ:

ავარიის ტიპები, რომელთაც ადგილი აქვს სატრანსპორტო სექტორში, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკა, მათში სატვირთო ავტომობილების/ავტობუსების მონაწილეობა, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური შედეგები.

3.2 მიზანი: ოპერაციების კრიმინალიზაციის თავიდან აცილების შესაძლებლობა და არალეგალი იმიგრანტების გადაყვანა:

ზოგადი ინფორმაცია, შედეგები მძღოლებისთვის, პრევენციის ზომები, საკონტროლო ნუსხები, სატრანსპორტო ოპერატორების პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობა.

3.3 მიზანი: ფიზიკური რისკის თავიდან აცილების შესაძლებლობა:

ერგონომიული პრინციპები; რისკთან დაკავშირებული მოძრაობები და პოზიციები, ფიზიკური მომზადება, სატრანსპორტო საშუალებასა და ტვირთთან მოპყრობა. პირადი უსაფრთხოება.

3.4 მიზანი: სთანადო ფიზიკური ფორმისა და სათანადო გონებრივი შესაძლებლობების შენარჩუნების მნიშვნელობის გააზრება:

ჯანსაღი, დაბალანსებული კვების აუცილებლობა, ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და სხვა ნივთიერებების ზემოქმედება, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ქცევაზე, დაღლილობისა და სტრესის სიმპტომები, მიზეზები და შედეგები, მუშაობისა და დასვენების სწორად შენაცვლების პრინციპული მნიშვნელობა.

3.5 მიზანი: საგანგებო სიტუაციების შეფასების უნარი:

მოქმედება საგანგებო სიტუაციაში: სიტუაციის შეფასება, ავარიის დროს გართულებების თავიდან აცილება, დახმარების გამოძახება, დაზარალებულთა დახმარება და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა, მოქმედება ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, სატვირთო ავტომობილში მყოფი პირებისა და ავტობუსიდან მგზავრების ევაკუაცია, ყოველი მგზავრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოქმედება თავდასხმის შემთხვევაში; ავარიის შესახებ ოქმის შედგენის ძირითადი პრინციპები.

3.6 მიზანი: კომპანიის რეპუტაციის ამაღლების მიმართულებით მოქმედების უნარი:

მძღოლის ქცევა და კომპანიის რეპუტაცია: კომპანიისთვის მძღოლის მიერ გაწეული სერვისის სტანდარტის მნიშვნელობა, მძღოლის როლი, იმ პირთა როლი, რომლებთანაც ურთიერთობა გააჩნია მძღოლს, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობა, სამუშაოს ორგანიზება, შესაძლო დავების კომერციული და ფინანსური შედეგები.

C, C+E, C1, C1+E კატეგორიის მართვის მოწმობები

3.7 მიზანი: ტვირთების ავტოსატრანსპორტო გადაზიდვის ეკონომიკური პირობებისა და ბაზრის ორგანიზების ცოდნა:

ავტოსატრანსპორტო საშუალებები სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებაში (კონკურენცია, ტვირთის გამგზავნები), სხვადასხვა ტიპის ავტოსატრანსპორტო ოპერაციები (ტრანსპორტირება დაქირავების ან ერთჯერადი ანაზღაურების საფუძველზე, პირადი ანგარიში, დამხმარე სატრანსპორტო ოპერაციები), სატრანსპორტო კომპანიების ძირითადი ტიპებისა და დამხმარე

სატრანსპორტო ოპერაციების ორგანიზება, სხვადასხვა სატრანსპორტო სპეციალიზაცია (ავტოცისტერნები, გადაზიდვა ტვირთის შენახვის გარკვეული ტემპერატურის შენარჩუნებით და ა.შ.), ცვლილებები დარგში (გაწეული მომსახურების დივერსიფიკაცია, ტვირთის სარკინიგზო-საგზაო გადატანა, ქვეხელშეკრულებების გაფორმება და ა.შ.).

D, D+T, D1, D1+E კატეგორიის მართვის მოწმობები

3.8 მიზანი: მგზავრების ავტოსატრანსპორტო გადაყვანის ეკონომიკური პირობებისა და ბაზრის ორგანიზების ცოდნა:

ავტოსატრანსპორტო საშუალებები სხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებაში (რკინიგზა, პირადი ავტომობილი), სხვადასხვა ტიპის ოპერაციები, რომლებიც ითვალისწინებს მგზავრების გადაყვანას, საზღვრების გადაკვეთა (საერთაშორისო ტრანსპორტი), მგზავრების გადამყვანი ძირითადი ტიპის სატრანსპორტო კომპანიების ორგანიზება.

ნაწილი 2. მე-3 მუხლის (1)(ა) პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო საწყისი კვალიფიკაცია

2.1 *ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს როგორც კურსებზე დასწრებას, ასევე ტესტირებას*

საწყისი კვალიფიკაცია უნდა ითვალისწინებდეს I ნაწილში წარმოდგენილ ჩამონათვალში მითითებული ყველა საგნის სწავლებას. აღნიშნული საწყისი კვალიფიკაციის დაუფლების ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 280 საათს.

ტრენინგზე დამსწრე ყოველი მძღოლის ინდივიდუალური პრაქტიკული მართვის კურსი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 საათს შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც მინიმუმ შეესაბამება 91/439/EEC დირექტივით გათვალისწინებული საცდელი სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნებს.

ინდივიდუალური მართვის დროს, ტრენინგზე დამსწრე მძღოლთან წარმოდგენილი უნდა იყოს სასწავლო ცენტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქტორი. პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი 20 საათიდან მაქსიმუმ 8 საათის განმავლობაში თითოეულ მძღოლს უნდა შეეძლოს მართვა საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე ან ფართო დიაპაზონის იმიტატორზე რაციონალური მართვის უნარის შესაძენად, რასაც საფუძვლად უდევს უსაფრთხოების წესების დაცვა. აღნიშნული ძირითადად ეხება სატრანსპორტო საშუალებების მართვას სხვადასხვა საგზაო პირობებში, აგრეთვე იმ ვითარებებში, რომლებიც იცვლება სხვადასხვა ატმოსფერული პირობების და დღე-ღამის დროის შესაბამისად.

მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად აღნიშნული მძღოლებისთვის საწყისი კვალიფიკაციის კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 70 საათს, მათ შორის 5 საათიანი პრაქტიკული მეცადინეობით.

სწავლების დასრულების შემდეგ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ან მათ მიერ დანიშნული ორგანიზაცია ატარებს მძღოლის ზეპირ ან წერილობით ტესტირებას. ტესტირება უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ ერთ საკითხს I ნაწილში მოყვანილ ჩამონათვალში მითითებული მიზნებიდან.

2.2 ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს ტესტირებას

წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ან მათ მიერ დანიშნული ორგანიზაცია ატარებს ტესტირებას თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში, I ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამის დონეზე მძღოლის ცოდნისა და უნარების შემოწმების მიზნით, აღნიშნულ ნაწილში ჩამოთვლილ საგნებსა და მიზნებში.

(ა) თეორიული ტესტი შედგება მინიმუმ ორი ნაწილისგან:

- (i) კითხვები, რომლებიც ითვალისწინებს პასუხებს რამდენიმე ვარიანტიდან, კითხვები, რომლებიც საჭიროებს პირდაპირ პასუხს ან ასეთი კითხვების კომბინაცია;
- (ii) პრაქტიკული მაგალითები.

თეორიული ტესტირების მინიმალური ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს ოთხ საათს.

(ბ) პრაქტიკული ტესტი შედგება ორი ნაწილისგან:

- (i) ტესტირება მართვაში, რომელიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების წესების დაცვით რაციონალურ მართვაში მომზადების შეფასებას. შესაძლებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ტესტი უნდა ჩატარდეს მჭიდრო განაშენიანების არელებიდან მოშორებით არსებულ გზებზე, ჩქაროსნულ ტრასებსა და მაგისტრალეებზე (ან ანალოგიურ გზებზე), აგრეთვე ქალაქის მაგისტრალეებზე სხვადასხვა სირთულეებით, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს მძღოლი. სასურველია, რომ ეს ტესტი ჩატარდეს მოძრაობის სხვადასხვა დატვირთულობის პირობებში. გზაზე მართვის დრო ოპტიმალურად უნდა იქნას გამოყენებული კანდიდატის შესაძლებლობების შესაფასებლად მოძრაობის ყველა სიტუაციაში, რომელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს. აღნიშნული ტესტის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 90 წუთს;
- (ii) პრაქტიკული ტესტი, რომელიც მინიმუმ ითვალისწინებს 1.4, 1.5, 1.6, 3.2, 3.3 და 3.5 მუხლების მოთხოვნებს. აღნიშნული ტესტის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 წუთს.

სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება პრაქტიკული ტესტირებისთვის, უნდა შეესაბამებოდეს მინიმუმ 91/439/EEC დირექტივით გათვალისწინებულ საცდელ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

პრაქტიკულ ტესტს შეიძლება დაემატოს მესამე ტესტი, რომელიც ჩატარდება საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე ან ფართო დიაპაზონის იმიტატორზე მძღოლის რაციონალური მართვის უნარების შესაფასებლად, რასაც საფუძვლად უდევს უსაფრთხოების წესების დაცვა. აღნიშნული ძირითადად ეხება სატრანსპორტო

საშუალებების მართვას სხვადასხვა საგზაო პირობებში, აგრეთვე იმ ვითარებებში, რომლებიც იცვლება სხვადასხვა ატმოსფერული პირობების და დღე-ღამის დროის შესაბამისად.

ასეთი დამატებითი ტესტის ხანგრძლივობა განსაზღვრული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი აბარებს ასეთ ტესტს, მისი ხანგრძლივობა შეიძლება გამოკლებულ იქნას იმ 90 წუთიდან, რომლებიც განკუთვნილია მართვის ტესტირებისთვის (i) ქვეპუნქტის შესაბამისად. თუმცა გამოკლებული დრო არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს.

მე-5 მუხლია მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მძღოლებისთვის, თეორიული ტესტი შეიძლება შემოიფარგლოს I ნაწილში მითითებული საგნებით იმ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებს ახალი საწყისი კვალიფიკაციის დაუფლებას. თუმცა, აღნიშნული მძღოლები სრული მოცულობით აბარებენ პრაქტიკულ ტესტს.

ნაწილი 3. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საწყისი კვალიფიკაციის დაჩქარებული კურსი

საწყისი კვალიფიკაციის დაჩქარებული კურსი უნდა ითვალისწინებდეს I ნაწილში წარმოდგენილ ჩამონათვალში მითითებული ყველა საგნის სწავლებას. მისი ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს 140 საათს. ტრენინგზე დამსწრე ყოველი პირისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მინიმუმ 10 საათიანი პრაქტიკული მეცადინეობა შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც შეესაბამება 91/439/EEC დირექტივით გათვალისწინებულ საცდელ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ინდივიდუალური მართვის დროს, ტრენინგზე დამსწრე მძღოლთან წარმოდგენილი უნდა იყოს სასწავლო ცენტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქტორი. პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი 10 საათიდან მაქსიმუმ 4 საათის განმავლობაში თითოეულ მძღოლს უნდა შეეძლოს მართვა საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე ან ფართო დიაპაზონის იმიტატორზე რაციონალური მართვის უნარის შესაძენად, რასაც საფუძვლად უდევს უსაფრთხოების წესების დაცვა. აღნიშნული ძირითადად ეხება სატრანსპორტო საშუალებების მართვას სხვადასხვა საგზაო პირობებში, აგრეთვე იმ ვითარებებში, რომლებიც იცვლება სხვადასხვა ატმოსფერული პირობების და დღე-ღამის დროის შესაბამისად.

მე-5 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული მძღოლებისთვის საწყისი კვალიფიკაციის დაჩქარებული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 35 საათს, ორსაათნახევრიანი პრაქტიკული მეცადინეობის ჩათვლით.

სწავლების დასრულების შემდეგ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ან მათ მიერ დანიშნული ორგანიზაცია ატარებს მძღოლის წერილობით ან ზეპირ ტესტირებას. ტესტირება უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ ერთ საკითხს I ნაწილში წარმოდგენილ ჩამონათვალში მითითებული მიზნებიდან.

ნაწილი 4. სავალდებულო პერიოდული გადამზადება მე-3 მუხლის (1)(ბ) პუნქტის შესაბამისად

სავალდებულო პერიოდული გადამზადების კურსების ორგანიზებას ახდენს დამტკიცებული სასწავლო ცენტრი. მათი ხანგრძლივობა შეადგენს 35 საათს ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ, მინიმუმ 7-საათიან პერიოდებზე გადანაწილებით. აღნიშნული სახის პერიოდული გადამზადება შეიძლება ნაწილობრივ ჩატარდეს ფართო დიაპაზონის იმიტატორებზე.

ნაწილი 5. საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების დამტკიცება

5.1 წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ამტკიცებენ იმ სასწავლო ცენტრებს, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების უზრუნველყოფაში. დამტკიცება შეიძლება გაცემულ იქნას მხოლოდ წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტები, რომლებშიც მითითებული იქნება:

- 5.1.1 კვალიფიკაციასა და სწავლებასთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამა, რომელიც შეიცავს საგნების ჩამონათვალს, სასწავლო გეგმასა და სწავლების მეთოდოლოგიას;
- 5.1.2 ინფორმაცია ინსტრუქტორების კვალიფიკაციისა და სპეციალიზაციის შესახებ;
- 5.1.3 ინფორმაცია იმ შენობების შესახებ, სადაც ჩატარდება სწავლება, სასწავლო მასალების, პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობების, აგრეთვე სწავლებისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ;
- 5.1.4 კურსებზე სწავლების პირობები (მონაწილეთა რაოდენობა)

5.2 კომპეტენტური ორგანოების მიერ გაიცემა წერილობითი ნებართვა შემდეგ პირობებთან დაკავშირებით:

- 5.2.1 სწავლება უნდა ჩატარდეს განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისად;
- 5.2.2 კომპეტენტურ ორგანოებს უნდა მიენიჭოს უფლება გაგზავნონ უფლებამოსილი პირები მოსამზადებელ კურსებზე სათანადო დახმარების გასაწევად დამტკიცებულ სასწავლო ცენტრებში, აგრეთვე კონტროლი გაუწიონ აღნიშნულ ცენტრებს გამოყენებული რესურსებისა და სწავლების და ტესტირების სისტემების ეფექტურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- 5.2.3 დამტკიცება შეიძლება გაუქმდეს ან შეჩერდეს მისი გაცემის პირობების დარღვევის შემთხვევაში.

დამტკიცებულმა ცენტრმა უნდა უზრუნველყონ იმ ფაქტის გარანტია, რომ ინსტრუქტორები ფლობენ უახლესი წესების და სწავლების უნარის სათანადო

ცოდნას. ინსტრუქტორების პროფესიული შერჩევის პროცედურის ფარგლებში მათ უნდა წარმოადგინონ სასწავლო საგნებისა და სწავლების მეთოდის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სწავლების პრაქტიკულ ნაწილთან დაკავშირებით ინსტრუქტორებმა უნდა წარმოადგინონ მძღოლის პროფესიული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი მოწმობა, ან მართვის ანალოგიური გამოცდილების ფლობის მოწმობა, როგორცაა, მაგალითად, მაღალი ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებების მძღოლი-ინსტრუქტორი.

სასწავლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს გაცემული ნებართვის პირობებს და ითვალისწინებდეს I ნაწილში წარმოდგენილ ჩამონათვალში მითითებულ საგნებს.

▼ **B***დანართი II*

მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათის ევროპული გაერთიანების მოდელთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. ბარათის ფიზიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ISO 7810 და 7816-1 სტანდარტებს.

ბარათის ფიზიკური მახასიათებლების შემოწმების მეთოდები იმ ფაქტის დამტკიცების მიზნით, რომ ისინი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, უნდა აკმაყოფილებდეს ISO 10373 სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ბარათს გააჩნია ორი მხარე:

პირველი მხარე შეიცავს:

- (ა) სათაურს „მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათი“, რომელიც წარმოდგენილი იქნება დიდი ბეჭდური ასოებით ან ბარათის გამცემი წევრი სახელმწიფოების ეროვნულ ენაზე ან ენებზე;
- (ბ) ბარათის გამცემი წევრი სახელმწიფოს სახელს (არასავალდებულო);
- (გ) ► **M1** ბარათის გამცემი წევრი სახელმწიფოს განმასხვავებელ ნიშანს, რომელიც დაბეჭდილი იქნება ნეგატივის სახით ლურჯ მართკუთხედში და გარშემორტყმული იქნება ყვითელი ვარსკვლავებით, განმასხვავებელი ნიშნები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:

B: ბელგია

▼ **M2**

BG: ბულგარეთი

▼ **M1**

CZ: ჩეხეთის რესპუბლიკა

DK: დანია

D: გერმანია

EST: ესტონეთი

GR: საბერძნეთი

E: ესპანეთი

F: საფრანგეთი

IRL: ირლანდია

I: იტალია

CY: კვიპროსი

LV: ლატვია

L: ლიტვა

H: უნგრეთი

M: მალტა

NL: ნიდერლანდები

A: ავსტრია

PL: პოლონეთი

P: პორტუგალია

▼ M2

RO: რუმინეთი

▼ M1

SLO: სლოვენია

SK: სლოვაკეთი

FIN: ფინეთი

S: შვედეთი

UK: დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო ◀

(დ) ბარათზე წარმოდგენილი ინფორმაცია დანომრილი უნდა იყოს შემდეგნაირად:

1. მფლობელის გვარი;
2. მფლობელის სახელი;
3. მფლობელის დაბადების თარიღი და ადგილი;
4. (ა) გაცემის თარიღი
(ბ) მოქმედების ვადა;
(გ) გამცემი ორგანოს სახელი (შესაძლებელია დაიბეჭდოს მე-2 გვერდზე);
(დ) მართვის მოწმობის ნომრისგან განსხვავებული ნომერი ადმინისტრაციული მიზნებისთვის (არასავალდებულო);
5. (ა) მართვის მოწმობის ნომერი;
(ბ) სერიული ნომერი;
6. მფლობელის ფოტოსურათი;
7. მფლობელის ხელმოწერა;
8. მფლობელის საცხოვრებელი ადგილი ან საფოსტო მისამართი (არასავალდებულო);
9. იმ სატრანსპორტო საშუალებების (ქვე)კატეგორიები, რომელთან დაკავშირებითაც მძღოლი აკმაყოფილებს საწყის კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების მოთხოვნებს;

(ე) ► M1 დასახელება 'ევროპული გაერთიანების მოდელი' ბარათის გამცემი წევრი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზე და სათაური 'მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათი' ევროპული გაერთიანების სხვა

ოფიციალურ ენაზე, რაც დაიბეჭდება ლურჯად ისე, რომ შექნას შესაბამისი ფონი ბარათზე:

tarjeta de cualificación del conductor

▼ M2

карта за квалификация на водача

▼ M1

Osvědčení profesní způsobilosti řidiče

chaufføruddannelsesbevis

Fahrerqualifizierungsnachweis

juhi ametipädevuse kaart

δελτίο επιμόρφωσης οδηγού

driver qualification card

carte de qualification de conducteur

cárta cáilíochta tiomána

carta di qualificazione del conducente

vadītāja kvalifikācijas apliecība

vairuotojo kvalifikacinė kortelė

gépjárművezetői képesítési igazolvány

karta ta' kwalifikazzjoni tas-sewwieq

kwalificatiekaart bestuurder

karta kwalifikacji kierowcy

carta de qualificação do motorista

▼ M2

Cartela de pregătire profesională a conducătorului auto

▼ M1

preukaz o kvalifikácii vodiča

kartica o usposobljenosti voznika

kuljettajan ammattipätevyyskortti

yrkeskompetensbevis för förare; ◀

▼ B

(ვ) ძირითადი ფერები:

- ლურჯი: Pantone Reflex ლურჯი;

- ყვითელი: Pantone ყვითელი;

მე-2 გვერდი შეიცავს:

(ა) 9. სატრანსპორტო საშუალებების (ქვე)კატეგორიებს, რომლებთან დაკავშირებითაც მძღოლი აკმაყოფილებს საწყისი კვალიფიკაციისა და პერიოდული გადამზადების მოთხოვნებს;

10. წინამდებარე დირექტივის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ ევროპული გაერთიანების კოდს;

11. ცარიელ სივრცეს, რომელიც წარმოდგენილია ბარათის გამცემი წევრი სახელმწიფოს მიერ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული დეტალების ან საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დეტალების (არასავალდებულო) შესატანად. იმ შემთხვევაში, თუ დეტალები უკავშირდება წინამდებარე დანართით წარმოდგენილ სათაურებს, აღნიშნული დეტალების წინ მითითებული უნდა იყოს შესაბამისი სათაურის ნომერი;

(ბ) ბარათის პირველ და მეორე გვერდზე წარმოდგენილი დანომრილი მონაცემების განმარტება (მინიმუმ სათაურები 1, 2, 3, 4(ა), 4(ბ), 4(გ), 5(ა), 5(ბ) და 10).

▼ M2

იმ შემთხვევაში, თუ წევრი სახელმწიფო მოისურვებს ყოველივე ზემოაღნიშნულის საკუთარ ენაზე წარდგენას, რომელიც არ წარმოადგენს შემდეგი ენებიდან ერთ-ერთს: ბულგარული, ესპანური, ჩეხური, დანიური, გერმანული, ესტონური, ბერძნული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ლატვიური, ლიტვური, უნგრული, მალტური, ჰოლანდიური, პოლონური, პორტუგალიური, რუმინული, სლოვაკური, სლოვენური, ფინური და შვედური, მან უნდა შექმნას ბარათის ორენოვანი ვერსია ერთ-ერთი ზემოაღნიშნული ენის გამოყენებით, წინამდებარე დანართის სხვა დებულებების დაურღვევლად.

▼ B

3. უსაფრთხოება, მონაცემთა დაცვის ჩათვლით

ბარათის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების მიზანს წარმოადგენს ყოველგვარი სიყალბისა თუ ფალსიფიკაციის მართვა და აღნიშნულის ყოველი მცდელობის შემთხვევის გამოვლენა.

წევრ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს, რომ ბარათის უსაფრთხოების დონე მინიმუმ აკმაყოფილებდეს მართვის მოწმობის უსაფრთხოების დონეს.

4. განსაკუთრებული ღონისძიებები



ევროკომისიასთან კონსულტაციის გავლის შემდგომ, წევრ სახელმწიფოს შეუძლია დაამატოს ფერები ან ისეთი სახის აღნიშვნები, როგორცაა შტრიხ-კოდი, ეროვნული სიმბოლოები და უსაფრთხოების მახასიათებლები, წინამდებარე დანართის სხვა დებულებების დარღვევის გარეშე.

ბარათების ორმხრივ აღიარებასთან დაკავშირებით, შტრიხ-კოდი შესაძლებელია არ შეიცავდეს რაიმე ინფორმაციას, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც უკვე იკითხება მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელ ბარათზე ან რომელსაც გააჩნია არსებითი მნიშვნელობა ბარათის გაცემის პროცესში.


▼ **B**

მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელ ბარათის ევროპული გაერთიანების მოდელი

გვერდი 1

	მძღოლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი ბარათი (წვერი სახელმწიფო)	
	6. ფოტო 	1. 2. 3. 4ა. 4გ. 5ა. 7. (8.)
9.		

გვერდი 2

11. 	<table border="1"> <tr> <td>9.</td> <td>10.</td> </tr> <tr> <td>C1</td> <td></td> </tr> <tr> <td>C</td> <td></td> </tr> <tr> <td>D1</td> <td></td> </tr> <tr> <td>D</td> <td></td> </tr> <tr> <td>C1E</td> <td></td> </tr> <tr> <td>CE</td> <td></td> </tr> <tr> <td>D1E</td> <td></td> </tr> <tr> <td>DE</td> <td></td> </tr> </table>	9.	10.	C1		C		D1		D		C1E		CE		D1E		DE	
9.	10.																		
C1																			
C																			
D1																			
D																			
C1E																			
CE																			
D1E																			
DE																			
1. გვარი 2. სახელი 3. დაბადების თარიღი და ადგილი 4ა. გაცემის თარიღი 4ბ. ადმინისტრაციული მოქმედების ვადა 4გ. გამცემი ორგანო 5ა. მართვის უფლების № 5ბ. სერიული № 10. ევროპული გაერთიანების კოდი																			

